13 აპრილი 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 39 ყოველკვირეული ჟურნალი № 39

წლიურ ხელის მომწერთ საალდგომოთ ურიგდებათ ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი.

შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 20 აპრილს.

წყეული ადგილი — ბრონიეოვის ნახატი.

ისევ ბოლგოთა

გათენდა დილა, დაჭკრა საყვირმა,
უხმოთ, უსიტყვოთ მიდის აჩრდილი,
საყვირთან ერთად სიმშილ-სიცივემ
დილა ადრიან დაუფრთხო ძილი!

მიდის ზარმაცად თავჩაღუნული,
მწარე ფიქრებით გული ეღგზნება,
საღამო მისთვის კაეშანია
და კაეშნითვე მას უთენდება!
ვით გუშინ დღესაც ქარხანაშია
ოფლს გამოსწურავს გამოფიტავს ძვლებს,
და საღამოთი თავის ცოლშვილთან
მიიტანს სიმშილს, მიიტანს ნაღველს!
ასე ყოველ დღე იგივ საყვირი,
ბრძოლა,.. ცხოვრება, ტანჯვა უხვთოთა,
წამების ჯვარი, მონის უღელი,
ისევ გოლგოთა! ისევ გოლგოთა!

ი. ევდოშვილი.

ქრისტიანობა და დღევანდელი პედაგოგენი.

—

ხშირად შეხვდებით ცხოვრებაში ისეთ სულდგმულებს, რომლებიც ქრისტეს სახელს საფრანგეთის ცნობილ მწერლის რენანის დაღით ჰდაღავენ, უნიადაგო მოქადაგედ, ცხოვრების მოწყვეტილ „უტოპისტად“ ჰნათლავენ. საბრალო უვიცნი! ისინი ვერც კი ჰგრძნობენ, რომ მათი პირადი ცხოვრებაცა და მთელი საზოგადოებაცა იმიტომაა ტანჯული, რომ ამ „უტოპისტის“ მოძღვრება დევნილია ცხოვრებიდან და გამეფებულია ჩვენ შორის ისეთი მშრალი და უსიცოცხლო მატერიალისტური რწმენა, რომელიც თვით ამ რწმენის მქადაგებელს თავის უშნო დაღით ჰდაღავს. როგორც ბრძენისაგან ნათქვამია, თვითეული ერი თავისი მთავრობის ღირსიაო, (როგორიც ბერიო, ისეთი ერიო), ისე თვითეული ადამიანიც თვის მიერ აღიარებული მოძღვრების ღირსია; რა მოძღვრებაც სწამს, იმის და გვარად მოწყობილია სულიერი ვითარება, თვალის ჩინი, მთელი იმისი პირადი ცხოვრება.

ეს ჭეშმარიტება არსად არა სჩანს ისე ნათლად, როგორც აღზრდა-განათლების საქმეში. დღეს ბავშვების აღზრდა-განათლება ეგრედ-წოდებულ „პედაგოგებს“ აბარია, ბავშვების აღზრდა-განათლებისათვის განსაკუთრებით მომზადებულ მასწავლებლებს აქვს მინდობილი, რომლებიც მაღლიდან ქვევით უცქერიან ჩვენისთანა უბადრუკ ხალხს, რადგან ჩვენ მათი ხელობის შესახებ მსჯელობას ვბედავთ, რადგან არა ვართ მათსავით „სპეციალისტები“, ზედ მიწევნით საგნის მცოდნე პირები და ამიტომ ერთობ უკვირთ ჩვენი თავ-გასული კადნიერება.

მაგრამ რაც უნდა მკაცრი თვალით გვიყურონ, რაც უნდა თავ-მომწონე დაცინვით დაგვიხვდნენ ჩვენი სასიქადულო პედაგოგები, მაინც ვერ დააბრუნებენ, იმ შავ-ბნელ ძველ დროს, როცა სამღვდელო ქურუმებისა და სასტიკ წყობილებისაგან დაჩაგრულ-ჯამონავებულ ეგვიპტელ ხალხს ღრმა სასოებათ სჯეროდა, რომ სამღვდელოების მიერ ამართული მაღალ ქვის სვეტები. სალვთო ქვის სვეტები იყო, საიდანაც დილ-დილას ღვთიური ხმები ისმოდა. საწყალი ხალხი ვერ გულისხმობდა რასაკვირველია, რომ ამ ხმების გამომცემი იმ სვეტების შუა-გულში მიმალული ვინმე სამღვდელო პირი იყო.

ჩვენი დრო კი სულ განსხვავებული დროა. როცა ჩვენი დროის მასწავლებელ-აღმზრდელები ძველ ეგვიპტელ ქურუმებსავით თავისი მძლავრი ავტორიტეტის შემწეობით ჩვენ ჩაჩუმებასა და დამორჩილებას სცდილობენ, ჩვენ წინაშე თავ-მომწონედ ამართულ პედაგოგებში ჩვენ მხოლოდ ქვის სვეტებსა ვხედავთ, რომლებიც არა ზეციერ, არამედ ერთობ მიწიერ ჰანგებს გამოსცემენ ჩვენი, არა სპეციალისტების, ყურთა სმენის მოსატყუებლად.

დღეს პედაგოგების გაქვავებულ რწმენას შეადგენს რომ ქრისტეს რჯულის ძირითადი კანონები, ეგრედ წოდებული „ქრისტიანული პრინციპები“— უნიადაგო-უტოპისტურია, ამიტომ ჩვენი პედაგოგები უვიცობა-ცრუ-მორწმუნეობისაგან ადამიანის არა განმათავისუფლებელნი, არამედ ამ უვიცობის კლანჭებში უფრო მჭიდროდ ჩამგდებნი და დამჩაგვრელნი არიან.

ქრისტეს მთელი რჯული ერთ ძირითად კანონ-მცნებაზეა აგებული, რომელიც ყველა სხვა სარწმუნოებასაც აღიარებული აქვს. ნუ უზამ სხვას იმას, რაც თვით შენთვის არ გსურსო.

წესწყობილების მორჩილმა ჩვენმა პედაგოგებმა დაუმორჩილეს მოზარდი ახალთაობა ყაზარმულ წესს, ეგრედ წოდებულ დისციპლინას, რომელიც თავისთვის არა სურო,, რასაკვირველია, რადგან ადამიანს ბუნებით თავისუფლება სწყურია, დიდხანს ჰყავდათ თავის მოწაფეები ამ დისციპლინის რკინის ბრჭყალებში მომწყვდეული და ბოლოს მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ამ ბრჭყალებისაგან თავ-დახსნილი მოზარდი თაობა სრულებით გზა და კვალ დაბნეულია ცხოვრებაში და ყაზარმულ დისციპლინასთან ერთად მაღალ ზნეობრივ დისციპლინასაც უარყოფს და ჰგონია რომ ადამიანისათვის არა არს რა აკრძალული ამ წუთი სოფელში. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, „თუ გინდა ღმერთი დაივიწყო, სემენარიაში უნდა შეხვიდე მოწაფედაო“. „თუ გინდა ზნეობა დაივიწყო—გიმნაზიაში უნდა შეხვიდე მოწაფედ“,— დაუმატოთ ჩვენ.

დღევანდელი პედაგოგი წვალებული კაცია, სწორედ შეგებრალებათ, როცა იმის მდგომარეობას გაითვალისწინებთ: იმან არ იცის, როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმორჩილოს, საიდან რა მოუგვაროს სავსებით თავ-აშვებულ მოწაფეებს. იმიტომაა უფრო სიბრალულის ღირსი დღევანდელი მასწავლებელი-პედაგოგი, რომ იმას, თუმცა განათლებულ გვამს ჩვენ გაუნათლებელ მემამულე თავად-აზნაურებსავით, არ ესმის დღევანდელი დროის ვითარება, ყველაფერს გარეშე პირობებს აბრალებს, მოწაფეებზე უზნეო აგიტატორების მავნე გავლენას ჰხედავს, ათასნაირ გარეშე გარემოებას სთვლის ბავშვების დღევანდელი გზა-დაბნეულობის უმთავრეს მიზეზად და ვერც ერთს ვერ ჰნახავთ მათ შორის გულითა და გონებით იმდენად მტკიცე ადამიანს, რომ საჯაროდ გულწრფელად აღიაროს: ის დაგვემართა, რაც გვეკადრებოდა,—იმას მოვიმკით, რაც ჩვენ თვითონ დაგვითესია.

ქრისტიანული „უტოპისტური“ კანონით ბავშვების აღზრდა განათლება თავისუფლად, ძალ-დაუტანებლად უნდა სწარმოებდეს, მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი მკაცრ სალდათურ დისციპლინას არ ემსახურება, როცა ხელში ზნეობრივი მათრახი არ უჭირავს, როცა იგი ნამდვილი თავისუფლებისა და ბავშვებთან თანასწორობის მოძღვარია, მხოლოდ მაშინ შეაგნებინებს იგი თავის მოწაფეებს ამ ძმობა-თანასწორობას და მხოლოდ მაშინ მოიხვეჭს მათ შორის იმ ზნეობრივ ნდობას, რომელსაც დღეს ჩვენი პედაგოგი „უტოპისტობის“ სახელით ჰნათლავს.

ი. ნაკაშიძე.

სიმწარე... სირცხვილი...

(სურათი),

... დიდი შაფათია... მზე თითქმის გადახრილია. სალომე გაშტერებული დგას და თვალები შარა გზისაკენ აქვს მიქცეული... რაღაც მოულოდნელ შიშს აეტანა... გული მოუსვენრად უძაგძაგებს და მოლოდინში კბილები უკაწკაწებს...

— რა იქნა ოჯო, არ გამოჩნდა იი ბაღანაი? —გამოსძახა ცოლს გოგილამ ფაცხიდგან.

— ნეტაი ფეხი მომტეხოდა, ხვალინდელი დღეი შავად გამთენებოდა და იი გოგო არ დამეკარგა დღეს!.. არა, მე უბედურმა და შავ დღიანმა ვიფიქრე—კვერცხის საღებავს და ხატის სანთელს მომიტანს, მაცხოვარს დაუნთებ-შეთქი... ვაიმე შვილო! თუ მე დაგირჩი დასანთები!!..

როგორც ნადირი გამოვარდა გოგიელაი გარეთ, თოფის მაგიერ—წალდს წამოავლო ხელი, გადახტა ალაგეზე და გაექანა შუკაში...

არ გასულა საათი რომ გამოჩნდა მამა და შვილი... მაგრამ ვაი მათ გამოჩენას... ბაღანას სახე არ ქონდა, გაფითრებული... დატანჯული...

— მიტირეთ, მეზობლებო, მიტირეთ შვილებო, მიტირეთ!—მოსთქვამდა სალომე; — მე ფიდა გაგლეჯილს, ჩემს უბედურებასთან ეს მინდოდა!.. ეს მაკლდა?

—

— ღამის 12 საათია... გოგიელა აგიზგიზებულ ცეცხლს უზის და უაზროდ ალის ბიბინს თვალს აყოლებს... საწყალი ფიქრებს წეელო... სურათი-სურათზე ეხატება... სუმწარე... ტანჯვა... სირცხვილი... შური და ბოლმა ..

უცებ წაილულლულა: ღობე—გამირღვიეს, სახლი—დამირღვიეს, ნალიე—წამიქციეს, მეწველე—ძროხა—დამიკლეს, ფაცხა და ბეღელი დამიწვეს, მარანი ღვინით მომირწყეს... დამლუპეს, დამაწიოკეს და ეხლა ქალიც... ჩემი გოგოც გამიუპატიურეს...

ცრემლ-ნაღველ მორეული, უფრო გაიტაცა ფიქრებმა... სიმწარე... სირცხვილი... შური და ბოლმა...

ატყდა ზარების რეკვა .. ერთი სოფლის ეკლესიის ზარის ხმას, უერთდება მეორე,—იმას—მესამე... მთელი არე-მარე აგუგუნდა..,

— გეიხედე, სალომე... ვის ოუშენეს ოჯახი?

— „ქრისტე აღსდგა!—ო და აკანკალებულის ხელით პირს ჯვარი გადიწერა სალომემ...

— „ქრისტე აღსდგა“. მაგრამ ჩვენთვის კი არა, სალომე!.. ჩვენთვის სიმწარე... სირცხვილი! ტანჯვა-ვაება... დარბევა-დაწიოკება.

ქრისტე აღსდგა! გაისმის შორიდან.. აქ კი სირცხვილი... სიმწარე... შური... ბოლმა!

ვასო ურუშაძე

ჟუჟუნა წვიმა

(საადგომოდ)

გაზაფხულის დღეს ჟუჟუნა წვიმამ
განაცხოველა ია დამჭკნარი;
მარგალიტ ცვრებით ააბჭყვრიალა,
მწვანე მინდორი, ტურფა მთა-ბარი.

ღიმილი უკრთით მთის ყვავილებსა,
ტყეში ფოთლებმა იწყეს შრიალი;
ბუჩქში მინაბულს კურდღელსა აკრთობს
გადაღმა შაშვის მარდი ფთხრიალი.

ნაღლეჯ ღრუბლებში დასავლეთისკენ
ცისარტყელისა გამოჩნდა რკალი;
თითო-ოროლა ცვარს, ძირს მონაქროლს,
მზის ნარნარ სხივზე გააქვს კრიალი.

ცქვიტი მერცხლები მსწრაფად დაჰქრიან,
წყლის ნაპირებზე ჰაერს აპობენ;
ბუზებს იჭერენ ცის კამარაში,
თან შეუწყვეტლივ ტკბილად ჰგალობენ.

ჟუჟუნა წვიმამ დაჩაგრულ გულში
წუთით აღაგზნო ნაზი გრძნობები,
და ბალშიც ვარდსა, სატრფოს სულისას,
უხვად აპკურა ციური ცვრები.
ვიშ, ამ ნეტარ დღეს! აღსდგა ყოველი,
ფრინველთა სტვენა ატკბობს სმენასა!
მაგრამ სამშობლო, მრავალ შანჯული,
როსლა ეღირსოს კვლავ აღდგენასა?!.

ა. შ—ლი.

საფლავში ჩამოძმახე

(სააღდგომო სურათი)

—

შუა ღამეა. ქრისტიანები, კმაყოფილნი თავიანთ ცხოვრებისა, დღესასწაულობენ ქრისტეს აღდგომას, ხოლო ყველა ტვირთ-მძიმენი, მუშაკნი, ბეჩავნი, უსახლ-კარონი, მშივრები და სენით შეპყრობილნი თავიანთ ქრისტეს აღდგომას კვლავ ელიან!...

სამ სართულიან სახლის ბნელს, ნესტიან სარდაფის ერთ კუთხეში უმუშავრად დარჩენილი მუშა ილიკო გმინავს,—ამ გმინვას თან აყოლებს ცხოვრების უსამართლობისადმი ზიზღს და სიძულვილს! სულთმობრძავის საწოლის ახლო მიმჯდარა მისი უნუგეშო ცხოვრების ამხანაგი თამრო, საშინლად გამხდარი და მრავალ ვაი-ვაგლახისგან ძალზე მისუსტებული; იგი ღრმა ფიქრებშია წასული... ხშირად პატარა გოგიას გულსაკლავი ხმა მწარედ გამოარკვევდა ხოლმე: „დედი, პული მშიან, მშიან პული... ეჰე?..“ ისარივით ესობა თამროს გულს ეს ხმა, მაგრამ რას იზამს,—რაც არა აქვს, რა მისცეს ბავშვსა?..

მისი ქმარი აგერ უკვე ექვსი თვეა, რაც უმუშავრად დარჩენილი და ლოგინად ჩავარდნილი, სულს ებრძვის და გუშინ კი, სწორედ გუშინ სახლის უკანასკნელი გამოსადეგი ავეჯი გაყიდა.

გოგიას პური შიან, ილიკო კი სიცოცხლეს ებრძვის, მისუსტებულ თვალებს ველარ ახელს და ტუჩებით რაცხას ამბობს!..

კვდებოდა ილიკო. მას სიკვდილის არ ეშინოდა, მაგრამ... მაგრამ თამრომ და გოგიამ რა ქნან? ყურს ვინ დაუგდებს გოგიას ჩივილს—შიმშილ წყურვილს!.. საწყალი ილიკო! ხომ კვდება, მაგრამ ეს უკანასკნელი წუთიც მოშხამული აქვს, სამარეშიაც ნაღვლიანი მიდის. საშინელი შიმშილი მის შთამომავალთაც არ ასვენებს! დიახ, სიკვდილის არ ეშინოდა, მაგრამ თამრო, გოგია? იქნება ქუჩის გარყვნილ ცხოვრებამ ჩანთქას ორივე—დედა და შვილიც? მათ მოგონებაზედ თვალთაგან ერთი მწვავე, ობოლი ცრემლი გადმოენთხა,—ცრემლი უკვდავის სიყვარულისა და მასთან უკვდავის მძულვარებისა!..

ამბობენ, სიკვდილის დროს ... ერთ ცრემლი მებრძოლი უსათუოდ ერთ ცრემლს მაინც გადმოანთხევს თვალიდან, ცრემლს ბრაზ-ბოლმისას დამმარცხებელთადმიო!..

ესეთი იყო ილიკოს ცრემლიც!

სიკვდილი თავს ედგა, ყველაფერს გრძნობდა. უკანასკნელად თავს ძალა დაატანა, მოიკრიბა დარჩენილი ძალ-ღონე და წაიბუტბუტა:

„თამრო, ვკვდები... გოგიას და შენს თავს მოუარე... ეცადე ნამუსი არ დაკარგო სილარიბისთვის! ერი...დე ქუ...ჩა..!ას! ის გარ...ყვ...ნი...ლი...ა..ა.. მე ვერ შე...ვე...სწა...არ და შენ... შენ... **საფ...ლავ...ში... ჩამ...ომ...ძა..ხე...** ჩვენი ქრისტეს აღდგომა... მჩაგვრელთ დამხობა... და...ჩა. .გრულ.. თა გა...მარჯ...ვება .. აღ...დგენა!...,

—

ვერ დაათავა. ჭკუაზედ შემცდარი თამრო ილიკოს გაციებულ გვამს თავს დაქვითინებდა და გოგია კი დედას, კალთაზე ჩამოკიდებული, ეტიკტიკება: დედა, მამა ფუფალასთან წავიდა?! პულს მომიტანს!.. ჰაჰა?!.

ვ. თამროშვილი.

ქრისტე აღსდგა!

—

„ქრისტე აღსდგა“!—„ჭეშმარიტათ„!
ხმა მოისმის მხიარული!..
დროა ვიწყოთ ძველებურათ
ერთმანერთან სიარული!
ვნახოთ ყველა, მიულოცოთ
და უსურვოთ დღეგრძელობა,
დავივიწყოთ ჩვენი სენი:
ერთმანეთში შური-მტრობა!..
ქრისტე ჩვენი სიყვარულით
ჯვარცმულ-იყო, წვალებული,
მას მივბაძოთ, მოვიპოვოთ
მისი მცნებით სიხარული!!..

კონ. ნიკოლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საალდგომო გასართობი

სოფელ წრ-ში ეკლესიაში ჯვრის წერა იყო. ხალხი წესიერად და რიგიანად იდგა და ლოცვას ისმენდა.

ამ დროს შევიდა პრაპაგანდისტი და რა დაინახა ქუდ მოხდილი ხალხი, შეჰყვირა: დაიხურეთ ამ საათში ქუდებიო. ქუდები დაიხურეს... შემდეგ დაინახა ანთებული წმინდა სანთლები და კელაპტრები.—ეს რაღა აგინთიათ? გააქრეთ ამ საათში! მაინც და მაინც თუ გინდათ კელაპტრებათ თქვენი ჯოხები დაანთეთო (?!).

აღდგომა დღეს ქართლის ყველა სოფლებში ხალხს აუკრძალეს ეკლესიაზე მისვლა და „ქრისტე აღდგას“ მილოცვა ერთი ერთმანეთში. თქვენ ქრისტე კი არა მარქსი უნდა ილოცოთო!

აღდგომა დღეს, გორში—მოგვითხრობს ერთი ვაჭარი სომეხი—ჩემ ოღბალზე ბაღთან გავიარე, შევხედო, ესა და ეს (ცნობილი პრაპაგანდისტების სახელს ჩამოთვლის) სხედან ბაღში და საუზმეს მირთმევენ. დამინახეს, დამიძახეს, მეტი ჯანი არ იყო მივედი. გულის ფანცქალით მიუახლოვდი, მოუხადე ქუდი და ვუთხარი; ქრისტე აღსდგა-მეთქი ყმაწვილებო. წამოვარდა ერთი მათგანი და ყელში მეცა: რა სთქვი ეგა, რა სთქვიო!—დღეს აღდგომაა, მაშ რა ვსთქვა მეთქი?—სთქვი: მარქსი აღსდგაო! ბევრი მაყვირეს, რამდენჯერმე გამამეორებინეს, ბოლოს გამიშვეს და წავედი სახლში. შემდეგ ვიკითხე, ვინ უნდა იყოს ეს მარქსი მეთქი? და რა გავიგე! თურმე ურია არ ყოფილა! ღმერთო შეგცოდე, ღმერთო შემინდე!—ოხუნჯობს ვაჭარი და პირჯვარს იწერს.

აი როგორ იგდებდნენ მასხარა პროპაგანდისტები ხალხის წმიდათა-წმიდას და იმ დიდებულ იდეას, რომელსაც ვითომდა თვით ემსახურებოდნენ.

ხეობელი.

ა ღ დ გ ო მ ა

იძახიან: „ქრისტე აღდგა.“—
ჩაგრულთ მხსნელი, მაცხოვარი,
მეც უნებლივ პასუხს ვაძლევ:
ჭეშმარიტად, ასე არი!
თუმც კი ამ დროს ირგვლივ მესმის
ტანჯულთ კვნესა, გლოვის ზარი...
თვალ წინ მიდგას სახრჩობელა
და წამების მძიმე ჯვარი!..
იუდები მაბეზღრობენ,
ჯალათებსა მკლავი სწყდებათ...
ძალადობას თაყვანს სცემენ...
ქრისტეს მცნება ავიწყდებათ!..
არვინ ფიქრობს მაცხოვარზე,
გაჟღენთილთ შურით გულ-ფიქრ...
ყველგან მტრობა, ძალადობა...
და სიმართლე ხელ შეკრული!
აღარ არის ქვეყნად ძმობა,
სათნოება, სიყვარული..
გოლგოთაზე კვლავ გაისმის
ტანჯვა-კვნესა დაუსრული!..
ეს მიქარწყლებს „აღდგომასა“
ბედნიერ დღეს ტანჯვა ერთვის
ვიღას ვუთხრა—„ქრივტე აღდგა“!
„ჭეშმარიტად“ ვინღა მეტყვის!?.

გერი.

წყვდიადი და სინათლე

„...წითელი სისხლით შეღებილა
თავით ფეხამდე; მამათა
სისხლით, დედათა სისხლით,
სისხლით ქალ-ვაჟთა...“
„ჰამლეტ“

—

ვნახე სიზმარი:

იქეთ ქვეყნელი, ამაყად მჩენი, ბაყბაყ მდევი განისვენებდა, კმაყოფილებით გონ დაბნეული, თავხედი და განუკითხველი.

საშინელის წყვდიადით გარემოცულ მის სამთავროში ანაზდეულათ მზის ნათელ სხივმა შემოაშუქა. სიბნელეს ჩვეულს ბაყბაყ მდევის ბისტიან თვალებს ეს არ იამა!

მდევის თვალები გაკვირვებით შესცქეროდენ ამ მოვლინებას!

სხივს კი თან და თან ემატებოდა სინათლე და მაცოცხლებელი სითბოებაც..,

იქით ქვეყნელი შეტორტმინდა -- შეინძრა! მისი ქვეყნისა ერთსა მეოთხედს უკვე სინათლე გარს შემორტყმოდა... ბაყ-ბაყი მდევი ტახტზე წამოჯდა! უფრო და უფრო ეფინება ქვეყნად ნათელი.

ადამიანმა სითბოც იგრძნო.

თავხედი და განუკითხველი სწრაფად წამოხტა!

მზის სსივებს კი მთელი სამყარო, ყოველი კუთხე უხვ ნათელ-სხივით სულ შეემოსა...

ბაყ-ბაყი მდევი გაცოფიანდა! გაბრაზებულმა გასცა ბრძანება, რომ მთელი ძალა მოეხმარათ ამ მოვლინების შესაჩერებლათ.

ჰაერში მეხმა გაიზუზუნა... დაიგრიალა... აქაიქ გამოჩნდა ცეცხლის აღი და ერთ წუთს შემდეგ აუტანელი ქარიშხალი გამეფდა ქვეყნად.

სუნთქვა გაჭირდა, გარეშემო საზარელი სუნი იდგა წვისა და დაგვის!..

ბოლი... ცეცხლი!.. ჰვარტლი!.. ჰექა-ქუხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი... გულ შემზარავი წივილ-კივილი, კვნესა ვაება!..

იქით ქვეყნელი ბაყ-ბაყი მდევი ისევ ჩამოჯდა თავის ტახტზე და კმაყოფილი, თავხედი და განუკითხველი სიამოვნებით წყვდიადს შესცქერის...

და „წითელი სისხლით შეღებილა თავით ფეხამდე; მამათა სისხლით. დედათა სისხლით, სისხლით ქალ-ვაჟთა!“

ვანო ბარველი.

ა ღ დ გ ო მ ა.

—

მტანჯველ ცხოვრების შავი აჩრდილნი
სამარეთაგან კვალად დგებიან;
ახალ ტანჯვებად გარდაქცეულნი
სიცოცხლეს მკაცრად ჩასჭიდებიან...
ოჰ, ნუ უწოდებთ მას სიხარულსა,
რამაც სიმწრისგან გადიხარხარა!
არ წყალობს ბედი ბედშავ მამულსა,
იესოც მკვდრეთით ჯერ არ ამდგარა...
... მაგრამ აღსდგება ბრწყინვალებითა,
წმინდა აღთქმანი აღსრულდებიან
და მხოლოდ მაშინ ჩვენ ბედშავ მამულს
ტანჯვანი ლხენად შეეცვლებიან!..

ი. მჭედლიშვილი.

ვით მივეგებო აღდგომას!?

—

ვით მივეგებო აღდგომას,—
ვით ვუძღვნა ნეტავ სალამი,
ოდეს ძირს გდია ტალახში
ჩვენი დროშა და ალამი!
ვით მივულოცო გატანჯულთ.
ავამუშავო კალამი,
ოდეს კვლავად ჰფლობს იმათ გულს
სევდა, დარდი და ვარამი...
ვითა დავეხსნა მწარ ნაღველს
და ტკბილს მივეცე ოცნებას,
ოდეს გარშემო ცრემლს ვხედავ
ქვეყნის დარბევას, მონებას.
ვერა, ვერ ვუძღვნი აღდგომას
ვერცა სალამსა, ვერც ქებას,
როცა სამშობლო განიცდის
უსამართლობას ვაებას.

დ. თურდოსპირელი.

ნუ მილოცავ!

—

ნუ მილოცავ აღდგომასა,
ნუ მილოცავ დღესასწაულს,
ჯერედ ისევ ხალხს მშრომელსა
ვერა ვხედავ გამარჯვებულს.
ნუ მილოცავ აღდგომის დღეს,
ნურც მომ-ეალ გაზაფხულსა,
ვერც ერთი და ვერც მეორე
ვერ ახარებს ჩაგრულ გულსა!..

გრი—ი.

აჯობა!..

—

ნინიკა. — სად იყო ჩვენი კარლო ჩხეიძე როცა სახელმწიფო დუმაში რუსების ჩამოსახლებაზე ჰქონდათ ბაასი, და ტიმოშკინმა ამ ჩამოსახლების აუცილებლობა მიაღებინა დუმას, —რატომ ხმა არ ამოიღო?

ივანიკა.—არა სცალოდა, სხვა უფრო საჭირო საქმეზედ იყო გასული.

ივანიკა.— იმაზე უფრო საჭირო მაქმე რაღა იქნებოდა?

ივანიკა.— თავის დიდ რეჩს ამზადებდა ციმბირის გზის თაობაზე და რუსეთის იმპერიის ერთობაზე.

ნინიკა.— არა, რა საჭირო იყო მაგისი რეჩი? პურიშკევიჩს მაინც ვერ აჯობებდა და...

ივანიკა. — აკი აჯობა კიდეც.—ვერ გაიგე, დუმაში რა სიცილი ყოფილა?

ტ უ ს ა ღ ი

I

დილა გათენდა... მზისა სხივებმა,
ცას წარუგზავნეს ოქროს ისარი,
აძგერეს წყვდიადს, შემაწუხებელს,
შუა გაუპეს გულის ფიცარი.
ფრინველთ აჭყიტეს ადრიან თვალი,
მაღლა ჰაერში შეისრიალეს;
ტოროლამ ზევით, ბულბულმა ქვევით,
ნაზი სიმღერა ჩააწკრიალეს...
ქალაქმა სახე მთლად შეიცვალა,—
აღარ გამოსჩანს მიმკვდარებული:
ქუჩაში ხალხი მრავლად სეირნობს,
ფერადოვნებით აჭრელებული,
ზარებსაც რეკვენ... მლოცველთ იხმობენ.
ეტლი ეტლს მისდევს, გააქვს გრიალი...
ხარობს ბუნება, ბანს აძლევს ხალხი,
ყურს ესმის მღერის ხმისა წკრიალი!..

II

მაგრამ... შეხედეთ იმ უზარმაზარ
ციხეს წყვდიადით გარემოცულსა,
რა უგრძნობელად სდგას მოქრუშული,—
ვერა რა ალბობს მის ქვიან გულსა.
ის მპყრობელია... მის კედლებ შუა
მრავალი არის გამომწყვდეული.
მათთვის გამქრალა წუთი სიამის,—
სული უშფოთავს, ეტანჯვის გული...
ე... ჟანგიანსა რკინის ფანჯარას
ვიღაც მოადგა დაღონებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს იყურება ქალაქს დასცქერის...
ეტყობა არის აღელვებული...

III

...მის ყურს მოესმა ჭიკჭიკი მერცხლის,
ჰაერში მარდად მომცურავისა,
მუსიკის დაკვრა, სიცილ-ხარხარი,
ხმა მეჩონგურის, მომღერალისა.
ველარ გაუძლო ბოღმას უზომოს,
მისუსტებულმა იმისმა გულმა;
კვლავ მიმოავლო მიდაჰოს თვალი
და დაიძახა აღშფოთებულმა:
„მშვენივრებაა!.. ყოველი ხარობს...
შენც დასტკბი, გულო, ამ ნეტარ ხმებით,
იგრძენ სიამე, გამხიარულდი,
ნუ შემოსილხარ შავის ღრუბლებით!..
ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. „გამხიარულდი!“
რა გაახარებს გულს ტუსაღისას,
რომელიც ბნელში გამომწყვდეულა,
მარად ნატრულობს ნათელსა მზისას?!.
რა გამახარებს, როს ირგვლივ მიცქერს,
მხოლოდ კედელი დანესტებული;
ოდეს ვმარტოობ, არსაით მესმის
ბაასი მოძმის, გამმხნევებელი?!.
...დღეს აღდგომაა სიმართლის მცველის,
ტანჯულ გვემულსა მექმაგისა...
იქ ყველა ხარობს... მე აქ ვიტანჯვი...
ხმა ვერ მახარებს მომღერალისა.
და მერე რისთვის? რა დავაშავე?
რა ჩავიდინე ავაზაკური?
რისთვის შემბოჭეს ჯაჭვით, ხუნდებით,
რისთვის შამეხო ხელი მზაკვრული?..
ნუ თუ იმიტომ, რომ ტანჯულთ კვნესამ.
უსამართლობამ გამეფებულმა
გულს ჩამაკვეთა მტერთ სიძულვილი
და ხმა აღვძარი აღელვებულმა?..
მაგრამ ქრისტეც, ხომ უსამართლობის
სასტიკი მტერი, მგმობელი იყო;
თავიც გასწირა ბრძოლაში, რომ
თავისუფლება ხორც შესხმულიყო?..
მაშ რა ახარებთ იმათ ღა მაინც,—
უსამართლობის მტკიცე დამცველთა;
რასა მღერიან, რას ხარხარობენ,
შთამომავალნი ფარისეველთა? .
თუ გაახარა ისინი ქრისტემ,—
მე რაღად ვგდივარ მაშ ამ საკანში?
მეც ხომ ვცდილობდი თავისუფლება
მეფედ მჯდარიყო ჩვენს ცხოვრებაში?..
მაგრამ... რას ჰკარგვენ, რა ენაღვლებათ,
ოდეს „ის“ სდგება მხოლოდ სიტყვითა..
სინამდვილე კი ისევ ის რჩება.—
არე ირწყება ჩაგრულთ ცრემლითა!...

აბა გაბედოს ვინმემ „მის“ მცნებას
ხორცი შეასხას, საქმედ აქციოს
მაშინ მას ჩემი დღე დაადგება,—
თვალთაგან ცრემლი უნდა აქციოს!
თუმც ეხლა ყველა ხარობს, ჩაგრულიც,
მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერია,—
ხვალ მას იგივე ტანჯვა მოელის,
რაც აქამომდე უგემებია!..
...კარგად ვჭვრეტ ამას, სული მიშფოთავს,
ქრისტეს „აღდგომა“ მე ვერ მახარებს,
არამედ მტრების საწინააღმდეგოდ,
ჩემს მისუსტებულ გულსა ამხედრებს!..
...არ მიხარიან... მოველი იმ დღეს,
როს ქრისტეს მცნება ხორცსა შეისხავს
და ნამდვილ ძმობას, თავისუფლებას,
წმიდა ცხოვრება გულში ჩაიკრავს,
მაშინ ჩემებრი „დიდ დამნაშავე“
ამ ბნელ საკანში აღარ იქნება,
მას არ დასტანჯავს შავი ბორკილი
და ხორცი ძვალზე არ დაადნება!
მაშინ იხარებს ყველა ჩაგრული,
მტკიცე, მუდმივი სიხარულითა,
ურთ-ერთს აღდგომას მიულოცავენ,
გადაჰკოცნიან სიყვარულითა!..“
ეს სთქვა ტუსაღმა. გაფითრებული,
მიეყრდნო საკნის შავ ბნელ კედელსა
და მოქანცული ბრაზით, ნაღველით,
დაემორჩილა დროებით ბედსა.

დ. ელიოზიშვილი.

ხალხია და ნიჭი

—

— დიდი სირცხვილი იქნება რუსებისთვის, თუ ლევ ტოლსტოის იუბილე ევროპამ და ამერიკამ გამართონ, რუსეთმა კი ვერა,

— რა ვუყოთ? ღმერთს ყველა ხალხასთვის ერთნაირი ნიჭი როდი მიუცია. ზოგს მწერლის იუბილე ეხერხება, ზოგს ღენერლისა.

ფიქრი

—

იგრიალა რაღაც ძალმა
და სასტიკმა ქარიშხალმა
ყველაფერი აგვიბნია,
არია და გადმოდენა
უცხო რჯული, უცხო რწმენა,
ოლიმპი და სინაია;
და მოძღვრება მრავალგვარი,
როგორც ტალღა წამომსქდარი,
წამოვიდა მღელვარებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ მაგდანელი ჯღარცმულის ფერხთან — კასპარი-დესის ნახატი.

იოანე მოციქული ღვთის მშობლის მანუგეშებელი — პლოკგორსტის ნახატი.

ჩვენი ქვეყნის კუთხე ყველა
მან კამკამით ააჩრელა
და მოიცვა უცხო ხმებით.

—

ჩვენ შევდექით... ჩვენა ვტირით:
გადაჭრითა პირდაპირით
ვერაფერი მიგვიღია;
ყოველ ტალღის ურიამულსა
ჩვენ შარა-გზას ვაძლევთ სრულსა
კარი ყველგან არის ღია.
ტალღა ზოგი დულს და შხუის,
კენჭებითა ტკბილ სიცრუის
მოჭედილი უჩანს ძირი;
ზოგი მოდის ტკბილი ჟღერით,
აღთქმებითა ფერად-ფერით
მოუქარგავს განაპირი.
ბევრს იტაცებს ტალღა წმინდა,
ბევრი კიდეც გადაცვინდა
მისაწვდომად მიუწვდენის,
დაიღუპა ბევრი გმირი,—
ტალღამ ისევ შეჭკრა პირი.
შეუცვლელად თვისი დენის.

—

განცვიფრებულ მდუმარებით
ჩვენ ტალღებში ვიყურებით
უმეცრებით აღჭურვილი;
ჩვენ არ ვიცით, რას ვესწრაფოთ,
ტალღას რომელს დავეწაფოთ,
რომ მოვიკლათ სიწყურვილი;
თავბრუ გვესხმის, ვერას ვხედავთ,
ვერასფერსაც ვერა ვბედავთ,
ცრემლი მოგვდის მდუღარედა,
ვტირით, როგორც ებრაელნი,
საწყალნი და მოუვლელნი
ბაბილონის წყალთა ზედა.

—

ვის მივმართოთ, რა ვიღონოთ,
რომ თვით ჩვენვე ვეპატრონოთ
ჩვენს თავსა და ჩვენსა შრომას?
სიტყვა ძმური ძმას არ სჯერა,
არცა წრფელი გულის ძგერა,
ყველაფერი აცდა ზომას.
ბნელი სუსხით ამ დროების,
გულში წმიდა სასოების
გახმა ვარდი, ჩაჭკნა ია;
და არ ვიცით, წინ რა გველის,
და არ ვიცით რა გვიშველის—
ოლიმპი თუ სინაია?!

გიორგი გვიშავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა! ვაუტენბერგის ნახატი.

აღდგომა სოფლად...

აღდგომის შეხვედრა ბედნიერ ოჯახში.

ქრისტე აღსდგა!

მეგობარო!

—

როდესაც სევდით მოცულსა გხედავ
მეც მწარე ფიქრი არა მშორდება
და თანაგრძნობა ჩემი შენდამი
უფრო და უფრო მიორკეცდება.

—

მე კარგათ ვიცი, რაც სულს გიშფოთებს,
ვიცი საგანი შენის ტრფობისა,
ნუ დაივიწყებ მას, მეგობარო,
თუ არ გსურს გახდე დირსი გმობისა.

—

არ გადუხვიო ჭეშმარიტ გზასა,
გახსოვდეს შენი მოვალეობა,
საქმე ის არის გაჭირვებაში
გამოიჩინო მეტი მხნეობა!..

—

ბევრს ნახავ მწარეს ამ ცხოვრებაში,
ბევრჯელ შეხვდები უსამართლობას,
გულს ნუ გაიტეხ, გასწი პირდაპირ
არ უღალატო შენს წმინდა გრძნობას.

—

არ შეუერთდე იმ ხალხთა რიცხვსა,
რომ ჭამა-სმისთვის იბადებიან
და უსაქმურნი, უსარგებლონი
უსარგებლოთვე იღუპებიან!

ვერტერ.



პეტარდები

(კვირიდგან-კვირამდე).

—:—

✦ განმარტება პეტარდების დაგვიანების გამო. რადგანაც იმ ხანში, როდესაც ჩვენი პეტარდები იბეჭდებოდა, მიმბაძველნი გამოგვიჩნდნენ და ბევრგან (მაგ. სემინარიაში, მეორე გიმნაზიაში, ქუჩებში და სხ.) „ოხრათ“ დაიწყეს პეტარდების ფათქა-ფუთქი,—ჩვენ სიფრთხილე გვიკარნახებდა შევჩერებულიყავით, რომ მთავრობას არ ეფიქრა რამე გვარად ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნულ პეტარდებთან და იჭვი არ შემოეტანა ჩვენ „ბლაღონადიოკონობაზედ“, მით უმეტეს, რომ ჩვენმა ბატონ-პატრონმა—მეეზოვემაც აღარ გვაღირსა იმის შემდეგ მოწყალების თვალი, თუმცა ბევრი ვარწმუნე და ვეხვეწე გამომყოლოდა რუსთა პატრიოტულ ბოროდცევის სამისიონერო სამლოცველოში, სადაც ვაპირებდი ფიცით დამერწმუნებინა ჩემს უქვეშევრდომ ბრძნობათა უმწიკვლობაში, მაგრამ ვინაიდგან ამ ჩვენი დროის ბატონს გული ვერაფრით მოულბე, იძულებული ვიყავით ბინა გამოგვეცვალა და ისრე გაგვეგრძელებინა ჩვენი უმადური საქმე.

თუმცა ამიერიდგან ვაღვიარებთ და ვფიცავთ ტიმოშკინ-პურიშკევიჩ-ბოროდცევის თავ-კისერს, რომ ვიქმნებით კურდღელივით ფრთხილი, თ.-აზ. მორჩილ-პატივისმცემელი და ამის იქით, გარეშე-უცხოებზედ ერთ სიტყვასაც აღარ ამოვიღებთ და, ჩვენებურ ეს-დეკებივით, მხოლოდ შინაურებზედვე მივიტანთ იერიშს.

როგორც ემბლემა სიფრთხილისა, ამას იქით, პეტარდების დასაწყისში, დახატული იქნება ხოლმე მკითხველის გამაფრთხილებელი სურათი, რომ ყოველთვის ახსოვდეს და ფორთოხლებსაც, როგორც პეტარდებს, წინ დახედულად მოექცეს, რომ, ვინ იცის, „ეშმაკს თვალი არ უჩანს“ და შეიძლება ფორთოხალმაც იფეთქოს...

ჩვენ **გაზ. „ნიშადურის“ თანამშრომელს, ბ. ხეოზელს** თურმე ანდერძი დაუმზადებია. ორი შეკმაზული ცხენი დღე და ღამ მიბმული ჰყავს თავის ბინაზედ და თითონაც, ღამეობით, ტანისამოსიანი, კურდღელივით ფრთხილ ძილს ატარებს. ჩვენ შორის დარჩეს **და**, ახი კია, მკითხველო, იმაზედ! უხრიკავი საქმე სახრიკავად რად გაიხადა!?. განა ჩვენ შორის ცოტა ხედავს სიმართლის და ჰეშმარიტების ფეხით გაქელვას, უგვანო მოქმედებას კაცი-ჰამიებისას, რომლებიც, ქვეყნის მხსნელის სახელით, კისერზედ მოსჯდომია და წურბელასავით სწუწნის ნშრომელ ხალხს; განა სხვამ კი არ იცის, რომ ადამიანი პირუტყვს არ უნდა ემგზავსებოდეს, რომ, კუჭის და ეგოისტურ ჟინის გარდა, უნდა მუდამ ახსოვდეს მაღალი და სპეტაკი ზნეობრივი პრინციპები!?. ბევრმა იცის, ბევრმა, მაგრამ უმრავლესობა გარინდებულია თავ-თავიანთი სოროებში ჩამძვრალი, დაბალის ხმით რაღაასაც ბურტყუნობს და ძლიერთა ლაქუცობა მლიქვნელობაში ჰპოებს „მყუდრო და განცხრომილ კეთილდღეობას!.. თოგორემ, მამა ცხონებულს, არა მკითხე მოგამბესავო, ჩამოვიარ ლია სოფელ-სოფელ და მოჰყოლია: „ამან ეს სოფელი აიკლო, იმან იმ გლეხებს ტყავი გააძრო, ამან კიდევ იმას ნამუსი ახადა“ და რა სისაძაგლე გინდა რომ იმან არ გამოამზეურა! მერმე რა შენი საქმეა, შვილო, ძმაო! ან იქმნება შენ-მიერ აღნუსხულ ბოროტ მოქმედებას მოითხოვს დიდებული მოძღვრება პროლეტარიზაციისა, რომ დაგვიახლოვოს სოციალიზმი და ეს შენს „ბურჟუაზიულ პსიხიკას“ ვერ შეუგნია?! მახლას!..

მკითხველს ეხსომება, რომ, ამას წინად, **ქაჯ-ეშმაკთა საბუდარში,...** უკაცრავად გაზ. „ეშმაკის მათრახში“ მოეთავსებინათ კარიკატურა, სადაც გამოხატული იყო მღვდელ-ბლაღოჩინები, რომელთაც დიდი ალიაქოთი ჰქონდათ სამსხვერპლო პირუტყვებიდგან აღებულ თავ-ფეხებ-ტყავების გაყოფაში. როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, ზოგიერთ „აფხანიკების“ პროტესტი გამოუცხადებიათ აღნიშნულ რედაქციისთვის, რომ, როგორც ია ეკალაძემ და სხვებმაც ჰეშმარიტად აღნიშნესო, ბორის მაზრაში, აღნიშნულ გაყოფა-განაწილებაში ჩვენც ჯეროვანი წილი გვედო და სამართლიანობა მოითხოვდა იმ სურათში უეჭველად ჩვენც ვყოფილვიყავით გამოჭიმულიო. ამის გამო „ეშმაკის მათრახსაც“ უთხოვნია მხატვარ შმერლინგისთვის, დააკმაყოფილოს „აფხანიკების“ მოთხოვნა და იმითი ფართრეთებიც ჩახატოს დასახელებულ „სულიერ მამათა“ შორის...

✦ ივ. გომართლის ახალი პიესა „ჯაშუში“ წარმოსადგენად მთავრობას ნება არ დაურთავს იმ ჰეშმარიტ მოსაზრებით, რომ უმაგისოთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, თითქმის ყველა ჯაშუშობსო, თავიც კი მოგვაბეზრეს და სცენაზედ იმდენი ინტერესი აღარ ექმნებაო...

✦ ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეებს, სადაც ჯერ-არს, მოთხოვნილება წარუდგენიათ, რომ ახლო ხანში ერთი საქველმოქმედო წარმოდგენა კიდევ გამართეთ ჩვენ სასარგებლოდაო, რადგანაც გულწრფელად მოწადინებული ვართ, ეგზემენების დაწყებამდე, ერთი კიდევ ლაზათიანათ ვიქეიფოთ და ისრე გამოვძვრეთ, რომ კამეჩები-მღვდლებად მოგვეჩვენოსო“... ჩვენც ჩვენის მხრით ბუნებრივად და შეწყნარების ღირსად ვსთვლით აღნიშნულ მოთხოვნას. განა ისინი თავიანთ მშობლების შვილები არ არიან და განა იმათ ქვის გული უდევთ, როცა ხედავენ: გიმნაზია იმ „შეჩვენებულ ვერის ბაღებს“ გადაჰყურებს, მერმე ამ გაზაფხულზედ, როდესაც ბუნებასაც კეკლუცად გადუღეღია მოქარგული გულ-მკერდი,—რა დროს სწავლაა, რა დროს მაცადინობაა!.. ეხლა ერთი ლაზათიანად ღვინით თავი უნდა გაიბრუო, გადეხვიო ამხანგებს, ღერბიანი ქუდი ან კისერზედ, ან მარცხენა ყურისკენ გადიფხაკო. წინ მკვნესარე დუდუკიან არღანი გაიმძღვანო და... „ბანი, განი!.. ნოემ რომ ერთხე...ე...ლ ი ი ნ ე ბ ა ა!..

✦ ჩვენი ქალაქის მამებს, ამას წინად, გვარიან აბრუნდი მოუვიდათ: აგერ ერთი წელიწადია ერთთავად ჰპირდებოდნენ და დაიმედებულიც ჰყავდათ ბეითალი ბ-ი ს. ახმეტელაშვილი, რომ დაცლილ ბეითლის ადგილზედ თქვენს მეტი კანდიდატი არა გვყავსო. თურმე „მამების“ ურა-უმრავლესობა იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ დასახელებული პირი ახმეტელიანცი თუ არა, ახმეტელოვი მაინც ვგონა, მაგრამ როცა გაიგეს „საქმის ნამდვილი გარემოება“ და **რ**ადგანაც თავიანთებიდგან ბეითლები არ მოეძებნებათ,—თურმე ბეითალი რუსეთიდან დეპეშით დაუბარებიათ... ეს ის ვაუბატონები გახლავან, რომლებიც „ოფიციალურად“ „ძმობა-ერთობა, ერების თანასწორობაზედ“ გაიძახიან და ფარულად მოხერხებულად გაჰყავთ თავიანთი უზვანო „პოლიტიკა“...

გ. ა—ციხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუძღვნი დემაგოგთ — უხუცესს აზნაურ „ანს“.

—

უცოდველი რომის პაპი,
მაგრამ მრუდე სულით, ენით,
საქართველოს მოევლინა
წმინდა ბურსის ზედ გავლენით!
ხალხის ფულით გაემგზავრა,
მოიყნოსა გერმანია,
„მეცნიერად“ დაგვიბრუნდა
დიდი და ბრძენი ანია!
შექმნა სკოლა სიყალბისა,
უშვერობა გაავრცელა,
ახალ სწავლად გაასაღა
დოგმატური კონკის ძველა!..
საფეხურით საფეხურზე
აცოცდა და გაიბერა;—
ალბად დიდი ვინშე ვარო—
ეს მან თითონ დაიჯერა!...
პროლეტართა სახელითა
გაბატონდა დიქტატორი
და გლეხებსაც კი დაგვრია
გამურული ქარხნის ტორი!..
დავუჯერეთ, ჩვენც გავყევით,
მაგრამ, ვხედავ, მოგვატყუა;—
აი თურმე როგორა სჭრის
მოურკალავ თავის ჭკუა!—
ჩვენ ვუნდოდით თურმე რაზმათ,
რომ იქ ნოქრებს გაემარჯვათ
და საბრალო გლეხი უფრო
შეებორკათ, შეეჯაჭვათ!..
თავის გარდა, ყველა სხვანი
დაგვისახა ხალხის მტრებად,—
რომ სხვა არვინ შეჭრილიყო
ჩვენში ფულის შესაკრებად!..
ველიკოროს-შოვინისტურ
კუჭ-მეისტერ-საქმე-ხრიკა—
შერცხვეს მასთან წმინდა რუსის
„ჭეშმარიტი“ პოლიტიკა!..
ცენტრალისტურ მისწრაფებას
აწარმოებს ლეგალურად;
„დაჭკა სხვებსო!“—გაიძახის
დიქტატორულ-გენერლურად!..
მისწრაფება რუსული აქვს,
აზროვნება—ბუშმენური.
„როცა მე გჭამ—ეს კარგია,
და როცა შენ—უზნეური!..“
კმარა ველარ მოგვატყუებთ,
შე საბრალო არამზადა!
ჩვენში ბურსამ შენისთანა
სხვაც ხომ ბევრი გამოზარდა!..

განდიდების სენს უპყრიხერ
იმითა ხართ მძიმე ავად!
დემაგოგთა უხუცესო,
ნუ ბლუყუნობთ საცოდავად!..
რაც გვატყუეთ—ის იკმარეთ,
რაც აგვაძრეთ ზურგზე ტყავი!
აწ კი—ნურას უკაცრავად,
თუ დავიცოთ ჩვენი თავი!..

გლეხი.

უ ჯ ი შ ო ნ ი

—

ოსურს ცხენს თუ დაამჭლევებ
ჩაგიწვება ლაფში, მოგსვრის,
თუ გასუქდა, გათამამდა?—
ან გიკბენს ან წიხლსა გესვრის...
ბედაური მერანი კი
არ გიღალატებს არას დროს,
დავალებას აგისრულებს,
თუნდა ტყვიამაც განგმიროს!..
აბა მითხარით, უჯიშო
გამოსადეგი რაშია?
ვინ იტყვის რომ დიდ ყურა ვირს
არა სჯობნიდეს რაშია!?
ზოგი ერთი ჩვენში ცხოვრობს
მყრალი, ურ[illegible]ხვი და ვერაგი,
მღვრივე წყალსაც წაუღია
ვინც არ არის სხვისი მარგი!

ე...მ...

№-ს

გეფიცები ეგ სიტურფე
თვით ვენერას შეშურდება,
ოცნება ხარ ხორც შესხმული
და ციური ნეტარება.
სულს ხიბლავს და გულს ატყვევებს
შენი ღიმი ზეციური,
ხატება ხარ სიტურფისა
და სამოთხე ქვეყნიური.
მაშ გისურვებ, ეგ სიტურფე
შესაფერათ მოიხმარო,
იყო სათნო და უმანკო,
ვით კამკამა მთისა წყარო!..

ვერტერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართვ. დეკუტატის სიმღერა

—

სწავლა-წრთვნაზედ სჯით-ბაასობთ?.. გეთ.ნხ-
მებით თქვენო,
რასაც კი გამოიმეტებთ ისიც გვკმარის ჩვენო.
რას მიქვიან სხვა ერები, მათი ენებიო
„ოსმალურად“ გაიწაფნენ მარად მონებიო.
მამა ჩემი მუდამ ჟამად მასწავლიდა მეო:
„კაცად თუ გინდა გახდომა“, ყური მიგდე მეო,
„ოსმალური“ შესწავლითა უნდა გამაგრდეო
სამშობლო ენა რად გინდა, გარედ გააგდეო!..
რა იცოდა მამაჩემმა, თუ მის პირითაო,
სიბრძნე იყო წარმოთქმული მარქსის ჭკუისაო!..
მხოლოდ ერთს კი გეხვეწებით, „ბატონნო“ და
მზენო,
მუნჯურ მეთოდს ნუ ინებებთ, ყოვლიდ მოწყალენო:
ბავშვები რომ კატებივით კნავილს ასტეხენო,
მე ნერვები ამეშლება, გულსაც მატკენენო.
ისევ-ისე ძველებურად „თათრულად“ სწრთვენითო
რაცა ჰქონდეთ ეროვნული, ყველა წაართვითო
ამას ითხოვს „ძირითადი“ „ჩვენი“ პროგრამაო,
გევედრებით კვერი დაჰკრას სათათბირომაო.—

დროებით ბათუმელი.

ვუძღვნი მეჭორეს

—

ცილს ნუ სწამებ ტოლს, ამხანაგს,
ნუ შელახავ სხვის სახელსა;
რაც რომ შენთვის აღარ გინდა,
მას ნუ უზამ მეზობელსა.
    გაზომე და ისე გასჭერ,
    ამას ითხოვს საღი ჭკუა.
    ვინცა ჩქარობს და აღარ თმობს,
    ის ყოველთვის სცდება, სტყუა.
სხვისი ჭირი ჭირათ გიჩნდეს,
ლხინშიც იყავ მონაწილე.
თუკი შესძლო, ადამიანს
მწუხარება ააცილე.
    ვაი მას და უიც იმას,
ვინც შებღალოს მართლის პირი;
თანაუგრძნოს დასჯილსა და,
არ იტვირთოს მოძმის ჭირი.

კორტოხა.

ბურჟუას ნადიმზე.

—

ბურჟუას ნადიმს დავესწარ,
ღვინო და თაფლი სდიანო,
ლიპ-სავსე კურატ-ვაჭრები
ალავერდს გადადიანო;
დემოკრატობენ ყველანი—
დროების წეს-რიგს სცვიანო;
საშობლოს მრავალ-ჟამიერს
ბოხ ხმაზე გასძახიანო!
მათი ცოლები იატაკს
კაბების კუდით ჰგვიანო,
გულ-მკერდ ტიტველნი ევანი
მაცთურად ირხევიანო!..
რუსულად პრაშტი-პრუშტობენ,
მტლაშა-მტლუშს გადადიანო...
ტანცი-მანცია გამართეს—
კულტურაც ამას ჰქვიანო!
ჩაუთამაშეს ბაქარა,
ასიგნაცს ჩამოდიანო:
„დაჰკარ, გასჭერი, ჩამოდი!
აბა არ დაიგვიანო!“
ამბობენ, ასეთ ნადიმებს
თურმე ხშირ-ხშირად ქმნიანო!
იმაზე განა ვინ ფიქრობს,
თუ სადმე ვინმეს შიანო...
დახოცილ მებრძოლთ საოხად
ამ „ქელეხს“ გადიხდიანო!..
სამშობლო ქვეყნის ვარამზე
როიალს დაუკვრიანო:
ქალ-კაცნი გაცვლა-გამოცვლით
აუარ-ჩაუვლიანო!..
დავესწარ,—ბერი-ქედანი
ბოლოში მომიგდიანო,
ან ვინ შემიშვა მე იქა,
სად ბურჟუები ზიანო?
ახია ჩემზე, კვლავისთვის
რომ თავი მოვიჭკვიანო?
ერთი ვთქვი, სულო ცოდვილო,
რა ბევრი გავაჭიანო,—
„წვეთები ნიშადურისა
მაგიერს გადუხდიანო!..“

გლეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპანის ბუშტი ვერცხლის მოუკარ.

ო. ბოგოლიუბოვიდან.

—

საბრალო მხარევ, როს გელირსება
დრო სანეტარო, ცხოვრება ტკბილი?
როდის იქნება, რომ კვლავ აღსდგები
თავისუფლების ცეცხლით ანთილი.
ეგერ ელვარებს თავისუფლება...
როდის იქნება გაახელ თვალებს?
როდის იქნება შენი არწივნი
გაუსხლტდებიან რკინის გალიებს?
მიტევებისა დრონი წავიდნენ;
კვლავ მოთმინება—დაჟანგულ ხლმებსა;
მაშ, ვაშა იმ ხალხს, რომელმაც უყო
სამაგიერო ბილწ ჯალათებსა.

ა.

შელლიდან

—

ტურფავ, გამომყე ტყისა სილრმისკენ,
იქ მკრთალი ბინდი ჰფარავს არესა;
მშვენიერ ტუჩებს იქ დაგიკოცნი
იქ შევაწებებთ გულს ერთმანერთსა!

უშიშრად ანდობს—არ ეფიქრება
ია ცელქ ნიავს წმინდა ფიქრებსა;
ოხრავს,—არ იცის, როგორ მოუკლეს
შეყვარებულთა, ჩვენებრ ტოლებსა!..

ა. შ—ლი.

ნადსონიდან

(ახალ სოფლავზე)

ისევ დავობლდი... მკაცრი ტანჯვები
ჩამოაფრინდნენ გულსა მშფოთარეს;
ეკლის ფოთლებით გარემოცული
ცრემლად ვადნები ახალ სამარეს.
რალას მაქნია ხმელი სიცოცხლის
უაზრო ღელვა, ობლად მდგომარეს?!.
სატრფოს სიკვდილი მეცა მეძახის
საიდუმლოსა ქვესკნეთის მხარეს!

ი. მჭედლიშვილი.

(ვუძღვნი X-ს)

—

თვალი ვერ გხედავს. . მაგრამ, ლამაზო,
თავს გევლებიან ჩემი ფიქრები. .
ნუ, ნუ შემიწყვეტთ ოცნების ძაფებს!
იმედის სხივო, ნუ ჩამიქრები!..

მე სულ არ ვიცნობ შენ აზრთა კიდეს...
გრძნობა წარმტაცა, არა გონება,
შენმა გარეგან სიმშვენიერემ—
ობოლი გულიც მას ემონება!. .

თვალი ვერ გხედავს... მხოლოდ ლამაზო,
გდარაჯობს გრძნობა, ჩემი ფიქრები...
შენ შემოგწირავ მე სიქალწულეს
და მხოლოდ-მარტო შენი ვიქნები!—

ბაბ.—ი.

პროვინცია.

თელავი (ყბად აღებული წყალ წაღებული). გასტიალდა ეხლანდელი დროება: ზიხარ სახლში, შესცქერი ცას და დედამიწას, მდიდარს, დარიბს, ინდა შერციცხოვრო, ინდა მშიერი არ მოგვდე და ერთფერი-კი მოგიხერხებია! რას იზამ? ხელობას გასაგები არა აქვს, ეგეთგან უფულენტიობაა. ჩამტიებია დედაჩემი—სუდში და ნატარიუსში იარე, იაბლაკატე და ობერ ჰეიტრის შვილ ანტონოვისაგით გამდიდრებიო. მე უარზე შევდექ გავჯიუტდი. ბოლოს და ბოლოს გაჭირვებულმა ცუდ-

მშრალობით ვიკისრე ჩემდა სამარცხვინოდ მკითხობა. ოხ, დმერთო ჩემო, რამდენი ტუტუცი გამოჩნდა ქვეყანაზე!. აქოდა ახალმოდის მკითხველიაო სულ უველა მე მომაწყდა—ბებერი, ჯეელი, ვაჟი, ქალი, სოფლაკარი, დარიბი, ჯგუფიანი. ბარტიანი... ფული? ფულიც ჩხრიალით მომდის; ბურებ-შოთებით ხომ კიდობანი ავავსე და ჩამოქნილ სამთელებით დდე და ღამ ბურბურია ჩემ ოთახში.

დდესა მას მარტისასა, წვიმიანსა, თოვლიანსა, თბილიანსა, ეინვიანსა, ზზიანსა, დრუბლიანსა, მქუხარესა, მწუხარესა ასტედა ქ. თელავში სამინელი ზარების რეკა. რეკენ თელეთს, რეკენ ძველ გალავანში, რეკენ სობორში. რა ამბავია, არ იტუვიო?! თურმე ჩემი ჩუმად იქ მიბარვა გუგიათ! ეველანი ჩემკენ მორბიან, ბინის კარ-მიდამოზე ტევა ადარ არის, ერთმანეთს ადარ აცდიან—ჩქარობენ ჩემგან თავიანთი ბედნიერება და უბედურება შეიტეონ. ახლა მეც რა ბიჭი ვარ ბატიკო! ვიბდინძები ორად, ვეოელოჩინობ, უზენაეს ბუნებას ველაბარაკები. კარის კაცი რიგრიგისად უშვებენ მოცილეთ ჩემს ოთახში.

შემოვიდა № 1. თავი დამიკრა. საფულედან ლურჯი ამოაძვრინა, წინ დამიდო. ტოტა ხველების შემდეგ დაიწყო: „მე გახლავარ ცნობილი იარალოვი (ჩიხორელი), ბევრჯელ ფულები წამართვეს, ბევრჯელ სიკვდილსაც მიქადნენ, ავდექ და სოც.-დ. ტელოხრანიტელები ვიყიდე, იმათ ჩრდილს ქვეშ დიდხანს ვიცხოვრე მოსვენებით, ახლა ფული შემოშელია და დავითხოვე; ძველმა ფულის ჯიბისტებმა ისევ მოამიკონეს და მათ შიშის და ზარ ქვეშ ტოტხალ-მკვდარი ძლივს და ვალ. მიკითხე, გეთაყვა, ჩემს თავს რა იქნება?

სარკეში ჩავიხედე, ძოფები დავგრიხ-დავკვანძე, ვახსენე სურფ-კარაბეტა, სურფ-სარქისა გეურქითურთ, უველა კოჯლი მიდდისები.. მომეჩვენა სურფ-ედიშე და ჩამოძახა: „თუ თელავის სამკითხველო-ბიბლიოთეკას 500 მან. შესწირავენ ჩიხორელი და არტემა ნაზიანშვილი, მაშინ ეშმაკ-ქაჯებიც ვეღარ მიუდგებიან მათ“. დიდის ზმორება კვანჯით გარდავეტი ეს გამოცხადება ზენასი და შესრულება ახლა იმათა ნებაა.

№ 2. შემოდის ბებერი. შემოაქვს ბურები და ნიშანი—ბატარა ბრაშიურკა კარანდაშით ნიშნებ გაკეთებული—მიწყობს წინ. შვილო, გენატვალოს ჩემი თავი! ჩვეთან ერთი გასათხოვარი ქალ-მასწავლებელი №—ძე იდგა. თელავში ახალთაობას უფრასად „ქოროლლი“ მოუვიდათ. ამ მოხსენებულმა ბიჭებმა ერთმანეთთან კავშირი გამართეს. ქორდილი ეფიცებოდა უტოლო ვარო და თანაც უქებდა რადაც **სამოქალაქო ქორწინებას**. ამ ოობაში სწავალი ქალი ორსული შეიქნა ქორდილის თანაც კასა ჭბარებოდა (ამობენ, თორემ მეკი არ მინახავს), გამოეცხიკა ისიც და გაბარულიეო. სწავალმა ქალმა ქორდილის ტოლშვილიანობა მერე შეიტეო; შერცხვენილმა და ნამუსს ახდილმა აიდო თავი და ... გადაიკარგა. მაგონდება, შვილო, ის ქალი—ბურ-მარია ... ვიუკვ—მეწყის მისთვის გული, ხან კიდეც მეტი-რება, მოსვენება ადარ მაქვს, ვარ ერთ დარდსა და ჯავრში და ამ ბურებსა და წიგნზე შემიტეე ნეტა იმათ თავს რა ამბავია. ქვეყანა და ნატნობობა სულ მე მეკითხებიან.

ვუმკითხავე: ბანქოს ქალალდები ავაბრუნ-დავაბრუნე, თვალები გალმოვკარკალე, ბევრისგან ბევრი ვეწვალე და ამბავი ვერ ამოვუკითხე. გავასწავალე ივ. გომართელთან. ვუთხარ: „ის ისეთი კაცია, რომ ებისკოპოზებს და ქ-ნ №—ბის ამბავსაც ის უფრო კარგათ შეგიტეობს თქვა: „ის მე არას მეტუვის, შვილო,—ბირიქით დაჭმალაააავს“.

№ 3. შემოვიდა ტაბლებით გასუქებული ტერტერა. საშინლად აშეოთებულია, სახეზე ალმური ასდის, ხმა მალდა უვირის, შუბლზე ოფლს იწურავს, ცხრა ნესტოთი ქშინავს. არიქა, ამხანაგო და თქვენო ბრწყინვალებავ, მიშველე რამე, ჩქარა შემიტეეთ—ეს ალელვებული ხალხი ამ **„შეორსულებულთ“** კასის გამო მომკლავს, თუ არა? თანაც ჯიბიდგან **ეკატირინკა** ამოაბრძანა და დამიდო წინ. მე თვალები გამიქანდა-გამოიქანდა. გახარებულმა ჩქარვე ბასუხი მივარტეი: „ნუ გეშინიათ, ქართველები **„ვრაცები“** არიან, ბირველში შემოგიტევენ, მერე დაითანტებიან, უველაფერი მიავიწყდებათ, შენ შიგა და შიგ სომხები დაქრთამე და ნაუველეი სულ მთლად შენვე შეგრჩება და ასე გასინჯე ხელსაც კა არავინ შეგახებს, არამც თუ მოგკლან“. ტერტერა სიხარულით ცას დაეწია, შეხტა-შეოთამაშა და „ბოდესპანიეს“ მაგვარად გაცეკვდრუკდა ტალახში.

№„4. შემოვიდნენ: ვარინკა, კმკე, ტასო და მაშო. ერთმანეთს ადარ აცდიან. დალალალან: მარაოს ხშირად ხმარობენ. თითო მანეთიანებს ჩამოდიან. მეკითხებიან: „მას შემდეგ, რაც ჩვენ ბულვარში **ჭორის ბოლ. ჩა** დავკარგეთ. თელავის ქალები სულ მუდამ მოწეენილადა ვართ. უველანი ჩვენ მოგვდგომიან—ჩქარა გვიბოვეთ და ისევ მოგვიტანეთო. გვიშველეთ რამე, გეთაყვა! გაგვიგეთ სად არის ჩვენი ბოდხა ჭორისა?“... დავიწყე მკითხობა. სქმე ძალზედ გამიჭირდა. ბოდოს ბელზეულთა დახმარებითა და წყალობით ტარტაროზისათა შეგიტეე და მოგახსენე ქალებს, რომ მათი ჭორის ბოხხა გაუტანტანებია ბულვარიდან უსაქმო ახალგაზდას, ხელობით ნამასწავლებარს, ბევრგან უწოწიალებია და ბოდოს ს. ი—ში ერთ შეძალებულ კაცის დიდ ეზოში გადუგდია. მათ კიდევ წყარზე აუტანიათ, იქ ლალაკაცებს გაუხსნიათ და შესდგომიათ ერთი ალტაცება-სიხარული. შეუტეეია მამასახლისს, სულ მთლად აუკრეფნია და ნიშნად ერთგულობისა **ლაპორტით** ბოქაულისათვის მიუტანია და ეხლა იმის ხელშია; თუ მიაშურებთ უკანვე დაიბრუნებთ—დავუმატე.

ამის გაგონებაზე ქალები ახტდნენ, დახტდნენ, აკასკასდნენ, აყვირდნენ: „შენი ჭირიმე გვეშველა, ვიზოგეთ!!. და გაცვივდნენ.

№ 5. შემოვიდნენ მსუქანი სომხები—მ. და ს. მეხვეწებიან: ეგარეულში წასვლა გვინდა, თამასუქებს ვადა გასდით, ფულებს არიან ქართველი ბლეხები მოსაცემს. ვერა ვბედავთ, გვეშინიან გზაში და—წავიდეთ თუ არა?

ვუმკითხავე და ხსენებითა სუფ-ორდენ დაშნაკცაკანისათა ტრად შეიქმნა, რომ ბ. კახაშვილის დიდიჯანი გაიცარცვება ორ ხელ, ბ. მეტრეველსა—ექვსჯერ. კერძო ეტლები: ორ-ორჯელ, ხოლო ისე მგზავრნი—თითოჯერ. ასეთი ბედი ექნებათ შაქრიანისკენ ბირ-გამბრუნებელთ—ხიდს ვერ გასცდებიან და ახლა თქვენ გინდ წაბძანდით და გინდ არა!.. ადმინისტრაცია ბუზსაც კი ვერას აუფრენს.

ამის შემდეგ დავისვენე, მეტი მკითხაობით კინადამ ისტერიკა მომსდიოდა. აველ კლუბში. ხალვათობაა. კუნჭულში ბ. დავიწყებული მე-713 კორესპონდენციას ამზადებს „ამირანისთვის“ კასების შესახებ. ბორნეოზე ახალ მომხდარ ამბავსაც კი სწერს და ჩემი კი არა გაეგო რა ჯერ. ცალ კუნჭულში მომჯდარა ნაირ-ნაირ საჭმელებით აჭრელებულ სტოლთან ჩვენი დავრენტი მუცლითა თვისითა და დვინით შელაღებული მდერის ანიურ გარმონით საზარდრულად დაკრულის ხმაზე:

ტარა უდი ხალა ჯუბი,
ფილა არი სალა ეუბი;
ისდა ადი ნარა ბაფი,
ქელა უბი ქალა ტაფი,
ჯილა ადი ხელა ფუჭ,
სიკმან ჯანი ბედა ბუჭ!..
ფისტუნ ფაი ქელა ქუი,
ფატან ბაი წელა დუი.
ქენთთა ვაზირ ეაფირდა
იშლა აზირ ბალდირბაااااა...

ჯერ ეური დაუგდე, შემდეგ წამსქდა სიცილი, წამოიხარხარა დავიწყებულმაც და ხითხითით მოგვდებოდი, რომ ჩემი ინამბლები არ შემოსულიეო.

— საბუდან ოთხ ცხენიანი ეტლი მოგერთოთ და თთ. ჯორჯაძეები გიწვევენ ამ **პრაზნიკ**ბში. აი ბარათიც.

რას ვიზამდი? ტოტა მეც მესიამოვნა და კიბეზე უმალ ჩავედ.

გავაზური ღმელფი.

ჯერ ხანად.

—

ამ უკანასკნელი ორი კვირის გასავლობაში ჩვენმა თავზე ხელ აღებულმა მოკამათეებმა და ურცხვად გალაღებულმა ანტოგონისტებმა ნამდვილის სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშით შემოგვიტიეს, ჩვეულებრივის პირახეულის უდიერობით და დაბახანურის უწმაწურობით გაგვიმკლავდნენ.

გაზ: „დასაწყისის“ ნაბოლარები, „მერცხალის“ ჭია-ღუა იადონები, „ეშაკის ტალახის“ ვირ—ეშმაკები „Наша жизнь“-ის ანბანები და განდონები, „Тифлис. свистокъ“-ის ლაქიები და ბაქიები და მრავალნი ქუჩის ბიჭ-ბუჭები და ქონდრის კაცები ამხედრდნენ „სასტიკ ბრძოლისათვის“ და... გვლანძლავენ, გვთათხავენ, გვჭორავენ...

ჩვენ, რა თქმა უნდა, არც ერთს იმათს წინადადებას უპასუხოდ არ დავტოვებთ, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ჯერ ხანად, ამ საბედნიერ-დღეოდ მაინც, ხმას არ გავცემთ; რადგან წინდახედულად და საფუძვლიანად გვერიდება ჰაერის მოწამვლა და აყროლება...

ის აყროლებული ჭუჭყი და აშმორებული ხუხულები,—რომელნიც ჩვენს წინააღმდეგ აღმართეს და რომლებშიაც თავი შეაფარეს, ვით მიუვალ კოშკებში, ამ ჩვენ „მებრძოლთ“,—ისეთის თვისებისაა რომ ოდნავ ხელის შეხება და მიკარებაც კი ჰაერს მოშხამს და მოსწამლავს....

ცარიელი, ლიტონი სიტყვებით სხაპა-სხუპი და რახა-რუხი „ესდეკების“ ჩვეულებრივი და ნაცადი ხელობაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, მათ არ წავბაძავთ. ჩვენ ფაქტებს ავალაპარაკებთ, რადგან, პისარევისა არ იყოს, „Слова и иллюзіи пропадаютъ, а факты остаются“.

რაც შეეხება ესდეკურ საპოლემიკო ლექსიკონს, ის ჩვენ მუდამ გვეთაკილებოდა, არა როგორც ჩვენი შეურაცხმყოფელი, არამედ როგორც თვით ამ ლექსიკონის მხმარებლის შემარცხვენელი და თავზე ლაფ-დამსხმელი...

ხოლო ისეთი სახელწოდება, როგორც მაგ. შავრაზმელი, პროვოკატორი და სხვა, თქვენც კარგად უწყით, რომ თქვენიანებს უფრო მოუხდება, რადგან რაზმელებიც ბევრი გყავთ, პროვოკატორებიც, ჯაშუშებიც და შანტაჟისტებიც...

ყოველ შემთხვევაში ერთი გამოჩენილი ფრანგისა არ იყოს: **„თქვენი ცილის წამების სიმაღლე ვერას დროს ვერ მოაღწევს ჩვენის ზიზღის აფეხურამდე“.**

რედაქ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მალბრუკის გალაშქრება“

დიდი მზადებისა და მოწოდების შემდეგ ომი გაჩაღდა...

განცხადებანი

გამოვიდა „ჯეჯილის“ უკანასკნელი ნომერი.
„განათლების“ მეორე ნომერი.
„ნაკადულის“ უკანასკნელი ნომრები.

„ყაზიბეგის ქალთა სკოლის“ სასარგებლოდ გაიმართება სეირნობა ლატარია-ალეგრით ტფილისის საბრანიის საზაფხულო შენობაში ოთხშაბათს, 16 აპრილს.

არტისტიულ საზოგ. თეატრში საშაბათს, 15 აპრილს ქართული დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „**დამარცხებულნი**“.

დონკიხოტის სანჩო-პანჩო.

ნუ მერიდები.

ნუ, ნუ მარიდებ მაგ ტურფა სახეს,
თვალებში გიკრთის სხივი ნათელი;
შავი გიშრის თმა ყელს დაგთამაშებს
თან აჩრდილს გფარავს სევდა-ნაღველი.

როდესაც გიმზერ აგრე დაღვრემილს,
არ მსურს გაგშორდე... მიტყვევებ გულსა;
მაშინ თვალებში ამოიკითხავ
ჩემს წრფელს გრძნობასა და სიყვარულსა!

ცხადათ, თუ ძილში შენ ერთსა გხედავ,
მთვარესა ჩრდილავ მკრთალ სხივოსანსა,
ხან-კი მგონია ვითომ გიყვარდე
და მიმეხწივნოს წმიდა მიზანსა!..

ა. შ—ლი.

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძული, მუხნრასკია სახლი № 1.